სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

№ 01-04/61 13.09. 2017 წელი

2017-2018 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდების დანიშვნის შესახებ

2017-2018 სასწავლო წლისათვის მაგისტრატურაში მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდები დაინიშნოს შემდეგი განრიგის მიხედვით:

1. შიდასაუნივერსიტეტო მისაღები გამოცდა ყველა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (გარდა ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებისა) დაინიშნოს 2017 წლის 20 სექტემბერს 13^{00} საათზე.
2. ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე: ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა, სისხლის სამართალი, საჯარო სამართალი, საჯარო მმართველობა და ჟურნალისტიკა) დაინიშნოს 2017 წლის 21 სექტემბერს 12^{00} საათზე.
3. მეორე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის საუნივერსიტეტო გამოცდა დაინიშნოს 2017 წლის 21 სექტემბერს 16^{00} საათზე №1128 აუდიტორიაში.
4. ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის გამოცდა ერთ-ერთ ევროპულ ენაში B2 დონეზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დაინიშნოს 2017 წლის 20 სექტემბერს 16^{00} საათზე №2405 აუდიტორიაში.
5. მედიცინის ფაკულტეტის ფარმაციის, ბიოსამედიცინო ინჟინერიის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა სამაგისტრო პროგრამებისათვის საუნივერსიტეტო გამოცდა დაინიშნოს 2017 წლის 20 სექტემბერს 11^{00} საათზე №2205, 2405 აუდიტორიაში.
6. ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში სამაგისტრო პროგრამისათვის საუნივერსიტეტო გამოცდა (ტესტირება ინგლისურ ენაში) ჩატარდეს კომპიუტერთან, 2017 წლის 20 სექტემბერს 13^{00} საათზე №2205, 2405 აუდიტორიაში.
7. ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში სამაგისტრო პროგრამისათვის გასაუბრება სპეციალობაში ჩატარდეს, 2017 წლის 21 სექტემბერს 11^{00} საათზე №1119 აუდიტორიაში.
8. საუნივერსიტეტო გამოცდები ჩატარდეს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში (თამარ მეფის ქუჩა № 59) - №1113, №1116, №1117, №1125, №1126, №1127, აუდიტორიებში.

9. სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები საუნივერსიტეტო გამოცდების ჩატარების უზრუნველყოფა დაევალოს საგამოცდო სექტორსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის სამსახურს.

10. 11^{00} საათზე საუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდაზე გამომსვლელთა რეგისტრაცია დაიწყოს უნივერსიტეტის I კორპუსის ფოიეში 10^{00} საათზე, 13^{00} საათზე გამომსვლელთათვის - 12^{00} საათზე, ხოლო 14^{00}სააათზე გამომსვლელთათვის 13^{00} საათზე.
11. დაევალოს კანცელარიის უფროსს ბრძანება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად გადასცეს მარკეტინგის, პროექტებისა და მართვის სამსახურს.

რექტორი **გიორგი ღავთაძე**

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი **იმერ ბასილაძე**